

მერის მოადგილე კახა ფუტყარაძე განახლების მოსახლეობას შეხვდა



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახა ფუტყარაძე შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად სოფელ განახლების მოსახლეობას შეხვდა. უკვე რამდენიმე კვირაა განახლებაში არსებულ სასმელი წყლის რეზერვუართან დაკავშირებით ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასა და მოსახლეობას შორის წინააღმდეგობა წარმოიშვა. კერძოდ, სოფელში არსებულ წყლის რეზერვუარზე დამატებით წყლის მიღების გაყვანს ადგილობრივები ეწინააღმდეგებიან. ამავე სოფლის დაახლოებით 40 ოჯახს სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა დღემდე აქვს. სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით დაიწყო სოფელში სამუშაოები. ხელვაჩაურის მერიის წარმომადგენლებისა და ადგილობრივების არაერთი მოლაპარაკების მიუხედავად საკითხი დადებითად ვერ გადაწყდა. ხელვაჩაურის მერიის შესაბამისი სამსახური იძულებული გახდა განახლებაში დაგეგმილი სამუშაოები შეეწყვიტა და კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება გაუქმებინა.